1998

4 1998 ნოემბერი

ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობოლი

ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს
სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის
ჟურნალი

ნახ. ჯ. ლოლუასი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 4 აგვისტო

ჟურნალ „ნიანგის" თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების მაღალ-პროფესიულ დონეზე გაშუქებისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგის" თანამშრომლები:

ღირსების ორდენით:

ბეჟან სიხარულიძე — მთავარი რედაქტორი

მამია (ჯემალ) ლოლუა — მხატვარი-რედაქტორი.

ღირსების მედლით:

მურთაზ აბაშიძე — მხატვარი;

მარიამ გველესიანი — სტილისტი-კორექტორი;

ვახტანგ დოხნაძე — ტექნიკური რედაქტორი;

ლერი ჩანტლაძე — ლიტერატურული რედაქტორი;

სოფიო ციციშვილი — მდივანი-მემანქანე;

ნანა ჯაჯანაშვილი — განყოფილების რედაქტორი.

ე. შევარდნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ნამუსიც კაი ძროხაა»

კედლის გაზეთის თანამშრომლებმა ჩამოაყალიბეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგაზეთო რედაქცია, რომლის სახელწოდებაა „გაზეთი გაზეთების გამოცემის თაობაზე". ამ გაზეთის გამოცემის სურვილი დაებადათ თვით კედლის გაზეთის თანამშრომლებს. დანარჩენი ყველაფერი თავისთავად მოხდა. მთავარი იყო სურვილი, გაზეთი დაიბეჭდა, დავიწყებას მიცემული კედლის გაზეთი სხვა ფორმით აღორძინდა. უფრო მეტიც, მის ნოყიერ ნიადაგზე მართლაც ყველასათვის საჭირო გაზეთები აღმოცენდა. მაგალითად: ჭერის გაზეთი, იატაკის გაზეთი, კარების გაზეთი, გაზეთების გაზეთი. გაზეთების რიცხვი თანდათან გაიზარდა, როგორც ტირაჟით, ასევე სახელწოდებით. ჭერთან, იატაკთან და კარებთან ზოგჯერ ტუალეტიცაა დაკავშირებული. ამისათვის საჭირო გახდა ტუალეტის გაზეთის გამოცემა, სხვანაირად არ გამიგოთ, ძვირფასო მკითხველო, ლაპარაკია საკითხავ გაზეთზე. ტუალეტში შესვლა შესაძლოა და ჩემის აზრით, საჭიროა კიდევაც განთიადისას, ამისთვის უნდა გამოიცეს განთიადის გაზეთი. ტუალეტში შესვლა გამორიცხული არც შუადღეზეა და არც შუაღამეზე. შუადღის გაზეთიც და შუაღამის გაზეთიც უნდა არსებობდეს. დემოკრატიაც ეს არის: უნდა წერო და იკითხო რამდენიც გაგეხარდება. უფრო მეტიც, უფლება გაქვს წერა-კითხვა არ იცოდე, მაგრამ გაზეთი გამოსცე, პოეტი გახდე, მწერალი გახდე, წიგნი გამოსცე. თუ ფული გაქვს, ტომეულების გამოცემაზეც შეგიძლია იფიქრო. ერთი სიტყვით, საამო არის ცხოვრება მისთვის, ვინც სიმღერა არ იცის და ესტრადაზე კი მღერის, ვინც რეჟისორი არ არის და რეჟისორობს, ვინც უნიჭოა და თავის ნიჭიერების დასამტკიცებლად ტელევიზიას მაქსიმალურად იყენებს. მას ტელესტუდიაში მობრძანებისათვის მადლობასაც უხდიან. განა არაა მადლობის ღირსი კაცი, რომელიც დილაადრიან ტელევიზიის ეკრანიდან ჭკუას დაგარიგებს, გზაარეულ კაცს დაგაკვალიანებს? გეტყვის: მატარებლის ლიანდაგზე არ დაეძინოს კაცია მუნჯაძესავით, თორემ თავს დაკარგავო, ქუჩაში მიმავალმა ორმოს გვერდი აუარე, შიგ არ ჩავარდეო. პირი დაიბანე, კბილები გაიხეხე, საჭმელი ჭამე თუ გაქვსო. ეს ხალხური სიბრძნე ვინმე ჭკვიანმა თუ არ შეგახსენა, შეიძლება ოჯახი დაღუპო. პატივცემულო მკითხველო! მოგაგონებთ ჟურნალ „ნიანგში" დაბეჭდილ ნახატ თემას (სიძველისათვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ამ თემას კიდევ ათასი წელი აქვს ვადა): დახატულია ზოოპარკი, გისოსების მიღმა წევს ვეება ლომი. სოფლიდან ჩამოსული გლეხი შეჰყურებს ლომს. ლომის გალიას დიდი ასოებით აწერია: „თავი არ შეყოთ, საშიშია!" „დიდუ", — ამბობს გლეხი – „წერა-კითხვა რომ არ მცოდნოდა, ხომ დავღუპავდი ოჯახს?!" ასეა, ჩემო ძვირფასო მკითხველო! ამდენი ჭკვიანი ხალხი რომ არ გვყავდეს, ამდენი სიბრძნე, რომ არ მოედინებოდეს, ამდენი ტრაბახი რომ არ შეგვეძლოს, ხომ დავიღუპებოდით?! კარგი ნათქვამია: შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდებაო. სანამ აბანოში წავიდოდეთ, ტელევიზიაში მივიდეთ, იქ შავიც კარგადა ჩანს, თეთრიც და სხვადასხვა ფერიც. საყრდენი წერტილი საპონელასავით საპონია, რაც ჯერჯერობით არა გვაქვს. მომეცით საყრდენი და დედამიწას გადავაბრუნებო, თქვა იმ კაცმა, რომელსაც ეგონა, რომ მთავარი იყო საყრდენი წერტილი. ვინ თქვა ეს? ეგა თქვა არქიმედემ, მანვე ხმამაღლა განაცხადა: „ნამუსიც კაი საქონელიაო", ან „ნამუსიც კაი ძროხააო!"

ჟანი სიხარულიძე

აჰა, ძმაო, გასაღები, შენ თუ ამ მანქანას თბილისში სადმე გააჩერებ და ჯოხიანი ყაჩაღი 30 თეთრს არ წაგართმევს, შენი იყოს!

ნახ. ჯ. ლოლუასი, თემა შ. სიხარულიძისა

აიათოლას ქვეყანაში

მუსულმანური ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთმა ბურჯმა, აიათოლა ჰომეინიმ, თავის დროზე, აკრძალა ირანის ქალაქებში მიწისქვეშა გადასასვლელებით სარგებლობა - აქაო-და, ადამიანი მიწისქვეშ მხოლოდ ერთხელ, სიკვდილის შემდეგ უნდა აღმოჩნდესო.

როგორც ჩანს, აიათოლას თანამოაზრენი საქართველოშიც არიან.

არცთუ ისე შორეულ წარსულში გორის საკოლმეურნეო ბაზრისა და სტადიონის მიმდებარე მოედნის ქვეშ გაიხსნა მიწისქვეშა გადასასვლელი. როგორც ქალაქის მაშინდელი მამები აცხადებდნენ, ის ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებდა ხელისუფლების ზრუნვაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის. ერთ გადასასვლელს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ა. შ. გორელებს სულაც არ ეზარებოდათ და არც ეშინოდათ მიწისქვეშ სიარული.

მერმე, ბატონო-ჩემო, დაჰბერა გარდაქმნის სიომ და გორის მიწისქვეშა გადასასვლელებმა უცნაური ტრანსფორმაცია განიცადეს. მართალია, მათ გამოყენებაზე ხელი არ აუღიათ, მაგრამ დაავიწყდათ, რა მიზნით აშენდა გვირაბები. ზემოთ ნახსენები მთავარი გვირაბი, მაგალითად, უზარმაზარ შემნახველ საკნად აქციეს, დიახ, დიახ — „კამერა ხრანენიად". რკინის ვეება ალაყაფით ჩარაზული გვირაბი ალიონიდანვე იხსნება და გულღიად ემსახურება ნაირ-ნაირ ვაჭრებსა და ვაჭრუკანებს.

რაც შეეხება ფეხით მოსიარულეებს, ისინი (მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ქალები, ბავშვები და მოხუცები) მანქანების ნაკადში ძლივს ახერხებენ მოედნის გადალახვას.

ყველაფერი ეს კი, მკითხველო, ქალაქ გორის მერიასა და საგზაო პოლიციას სულ არ აწუხებს, ის კი არა, შეიძლება სიამოვნებს კიდეც.

თქვენ გგონიათ, მხოლოდ ამ მოედანს ადგას გასაჭირი? ქალაქის ყველა გადასასვლელი ჩახერგილ - გადაღობილი და ამოვსებულია ვაჭართა „გილდიების" მიერ. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, ქალაქის ზოგიერთ გავლენიან ძიას, რკინიგზის სადგურთან რომ გადასასვლელია, მანდ „საცურაო აუზის" მოწყობა განუზრახავსო.

იქნებ გორის მერმა, დავით ქობლიანიძემ, დააკმაყოფილოს ჩვენი ცნობისმოყვარეობა და გაგვაგებინოს, მართლა თუ მისდევს ჰომეინისეულ მუსულმანურ ფუნდამენტალიზმს. თუკი არა — რატომ ჰგონია, რომ გორელ მოქალაქეებს „კამერა ხრანენიები" უფრო სჭირდებათ, ვიდრე ამდენი წვალებითა და ხარჯით გათხრილ-ამოშენებული მიწისქვეშა გადასასვლელები?

ვაჟა შაქარაშვილი

„ნიანგის" კორესპონდენტი

დეკლარაცია

(ექსკლუზიური ინტერვიუ პარლამენტარ ვასიკო რ-თან)

– ბატონო ვასიკო, თქვენმა დეკლარაციამ პირდაპირ ფურორი მოახდინა, – საზოგადოება გაოგნებულია.

ვასიკო (იცინის) – ვითომ რატომ? რა მოხდა ასეთი?

– „გარდა ხელფასისა და სადეპუტატო შეღავათებისა, არავითარი შემოსავალი არა მაქვს“ – ეს ხომ თქვენი დაწერილია?

ვასიკო (იცინის) – კი. მერე-და, მე უარვყოფ?

– კი, მაგრამ...

ვასიკო (გულიანად იცინის) – თქვით, თქვით, რასაც ფიქრობთ, ნუ გერიდებათ. გინდათ, მე თვითონ ჩამოგითვლით ყველაფერს, რაც თქვენ ენის წვერზე გიტრიალებთ? გინდათ?

– ბრძანეთ, ბატონო ვასიკო!

ვასიკო (კარგახნის სიცილის შემდეგ) – უპირველეს ყოვლისა, თქვენ გინდათ მკითხოთ, საიდან, რა საშუალებებით მყავს ხუთი მანქანა... ხომ მივხვდი? (იცინის) მოგახსენებთ! თქვენ ხომ ჩემს შესახებ ყველაფერი იცით და ისიც გეცოდინებათ, რამდენი წევრია ჩემს ოჯახში

– ხუთი.

ვასიკო (კვდება სიცილით) – ხედავთ? მერე-და, ცივილიზებულ საზოგადოებაში მანქანა ხომ ფუფუნების საგანი არ არის? ოჯახის თითოეულ წევრს არ უნდა ჰქონდეს გადაადგილების საკუთარი საშუალება?

– კი, მაგრამ...

ვასიკო (იცინის) – თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩემი მეორე შვილი თორმეტისაა და მესამე კი – შვიდის? ხომ მიგიხვდით? (ხარხარებს) მერე რა, არ გაიზრდებიან? იქნებ გინდათ, რომ არ გაიზარდონ? ა? (იცინის მაგრად).

– როგორ გეკადრებათ!..

ვასიკო (არ იცინის) – რა ვიცით ხალხნი ვართ!.. მანქანებს მოვრჩით.. ახლა თქვენი შემდეგი შეკითხვა: სამი მოზრდილი ბინა თბილისში, აგარაკები წყნეთში, ურეკში და ბაკურიანში... ხომ მიგიხვდით? (იცინის და რას იცინის) უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი არცერთი არ გახლავთ – სამი შვილი – სამი ბინა, სამი აგარაკი – სამი შვილი...

– თქვენთვის რატომ არ ზრუნავთ?

ვასიკო (ხითხითებს) – მიგიხვდით ირონიას! სწორედ ამ[illegible]რის, უცხოელმა მეგობრებმა იზრუნეს ჩვენთვის: [illegible] ერთი პატარა, მოცუცქნული ბინა გვიყიდეს. დიდი მორიდებით შემოგვთავაზეს. უარს ხომ ვერ ვეტყოდით? (გადაიხარხარებს).

– ცხადია!

ვასიკო (არ იცინის) – გინდათ შემდეგი კითხვა გამოვიცნო?

„ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ შვილების ბინები, აგარაკები და მანქანები ვისი ფულითაა ნაყიდი?“ ხომ გამოვიცანი, ა? (სიცილისგან ლამის ჩაბჟირდეს). გეტყვით, ჩემო კარგო, გეტყვით: მამაჩემი, კოტე, მთელი ცხოვრება პატიოსან ბიზნესში იყო ჩართული და ჩემს მეტი არავინ ჰყავდა. გარდა ამისა, სიმამრმაც საკმაოდ სოლიდური მემკვიდრეობა დამიტოვა... აა, ვიცი, რაც უნდა მკითხოთ: თქვენ მეუღლეს ძმები და დები ხომ ჰყავსო? კი, ძვირფასო, ჰყავს, მაგრამ თავის მხრივ იმათაც ჰყავთ მამამთილები და სიმამრები. არა, ერთი მითხარით, რატომ არ უნდა ჰყავდეთ? (ჰალსტუხს მოიშვებს და ხმამაღლა იცინის).

– კი მაგრამ...

ვასიკო (არ იცინის) – თქვენ გინდათ მკითხოთ, ეს ასდოლარიანი ჰალსტუხი რატომ მიკეთია, ან ათასხუთასდოლარიანი კოსტუმი რანაირად მაცვია, ან ხუთასდოლარიანი ფეხსაცმელი... (იცინის და იცინის) ან... არა, ერთი ეს მიბრძანეთ, რატომ გინდათ, რომ თქვენს არჩეულ დეპუტატს მათხოვარივით ეცვას?

– როგორ გეკადრებათ, ვის უნდა?!

ვასიკო (არ იცინის) – ბევრს უნდა, ჩემო კარგო!.. ახლა იმ შეკითხვებზე ვთქვათ, ბოლოსთვის რომ გაქვთ შემონახული... კი, ვიცით, ვიცით, ბატონო, რაც უნდა მკითხოთ (გულიანად იცინის): რესტორან „ამერიკის“ წილში ვარ თუ არა, სასტუმრო „მექა“ ჩემია, თუ არა და თუ ვარ ჩართული „წყაროსწყლის“ ბიზნესში... ა, ხომ გამოვიცანი? (კისკისებს). არა, ჩემო კარგო, არსად ჩემი გვარი და სახელი არ ფიგურირებს. ვინც არ უნდა მიტრიალოს და ქექოს-ჩხრიკოს, კოვზი იმ ნაჩხრეკში ჩაუვარდება!.. ახლა, ჩემო ბატონო, თუ მეგობრები ზოგჯერ რაიმე თანხით დამეხმარებიან, ამას დეკლარაციაში ხომ ვერ ჩავწერ, ა? (იცინის).

– ცხადია! (კორესპონდენტიც იცინის)... გმადლობთ ექსკლუზიური ინტერვიუსათვის!

ვასიკო – როცა გენებოთ, მზადა ვარ!

(ორთავენი გულიანად იცინიან)

ესაუბრა **მამა თელია**

მომღერალი ბაყაყები არაყიშვილის ქუჩაზე

ქ. ქუთაისში დიმიტრი არაყიშვილის ქუჩაზე ახალი კორპუსის მშენებლობას ჩაუყარეს საფუძველი. საფუძველს ვამბობ, თორემ რა საფუძველი, ამოთხარეს მიწა და შემოზიდეს სამშენებლო მასალები, შემოზიდული მასალები შემოზიდულად დარჩა, ამოთხრილი მიწა კი ამოთხრილად. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩაიარაო ვამბობ თორემ არ ჩაუვლია, პირიქით, ამოთხრილ საძირკველში ჩადგა. 5 წელიწადია ბავშვების კალათბურთის მოედნის ნაცვლად ცხრასართულიან კორპუსს ველოდით, მოლოდინიც მოლოდინად დარჩა, ცხრა სართულიანი კორპუსის მაგიერ ხელოვნური ტბა გაჩნდა. ხელოვნურ ტბას თავისი ახალი მობინადრეებიც მოჰყვნენ: ბაყაყები, კოღოები, მღრღნელები და ათასი მავნე მწერები. ბაყაყებმა მუსიკალური სკოლა გახსნეს, ხელოვნური ტბის ბაზაზე, მათ კოღოებიც შეუერთდნენ და ისეთი სასიამოვნო ხმები გამოდის, მთელ უბანს არ სძინავს. დღისით ვახერხებთ ძილს, ღამით კი ბაყაყები გვართობენ.

პატივცემულო „ნიანგო“ იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ და გვიხსნათ ამ წამებისაგან.

ტიტე ქავთარაძე

— რამ მოგატაცებია ეს მახინჯი?
— მამა ჰყავს მილიონერი!
— მერე, მამა მოგეტაცებია შე კაცო, ამას მაინც ავჯობებდა!

ნახ. მ. მალაფონიასი
თემა მ. მერკვილიშვილისა



— ერთი დაურეკე ამ კლიენტს, — ქაღალდის ფურცელი გაუწოდა თანაშემწეს ბანკის პრეზიდენტმა. — ფერადი ტელევიზორი „ფილიპსი“ აქვს წაღებული. ძალიან დააგვიანა მორიგი შესატანის გადახდა.

— კი ბატონო.

თანაშემწე მისაღებში გაბრუნდა, ტელეფონს მიუჯდა და ნომერი აკრიფა:

— ალო? — შემოესმა ქალის ხმა.

— ქარაიას ბინაა, ქალბატონო?

— დიახ.

— ბატონ სიმონს სთხოვეთ!

— შინ არ გახლავთ, მოსკოვს გაფრინდა გუშინ. ვინ ბრძანდებით?

— ბანკიდან გირეკავთ.

— ბანკიდან?! — განცვიფრდა ქალი. — რა ხდება?

— თქვენ მეუღლე ბრძანდებით?

— დიახ.

— ქალბატონო, კარგად მუშაობს თქვენი ტელევიზორი?

— რაო? ტელევიზორი საერთოდ არა გვაქვს. დამცინით?

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო! აი, წინ მიდევს ხელშეკრულება. თქვენმა მეუღლემ სიმონ ბიკენტის ძე ქარაიამ, გასული წლის დეკემბრის დამდეგს „ფილიპსის“ მაღაზიიდან გაიტანა ფართოეკრანიანი ფერადი ტელევიზორი, პირველი შესატანი გადაიხადა, მეორე კი ძალზე დააგვიანა. ასე რომ...

— მოითმინეთ! — ქალს აშკარად დაეტყო მღელვარება. — აქ რაღაც შეცდომაა, აბა, მისამართი წამიკითხეთ.

მისამართიც დაემთხვა...

ერთ საათში მღელვარებისაგან ფერწასული, აქოშინებული ქალი ბანკში მივარდა. გული ხელით ეკავა.

— მიჩვენეთ ის ხელშეკრულება! — მოითხოვა.

უჩვენეს. ქმრის ხელი იცნო.

— ნამდვილად იმ გათახსირებულს უყიდა მაგ უსინდისომ! — ხმა ჩაეხრინწა ქალს. — საყვარელს ფერადი ტელევიზორი შეუძინა, მე კი სიგარეტის ფულს მთხოვს... ჩამოეთრეს ერთი...

სიმონი „ჩამოეთრა“ და პირველი, რაც სახლში შესვლისას თავში მოხვდა, იატაკის საწმენდი ჯოხი იყო.

გონს საავადმყოფოში მოეგო.

ნუგზარ აფხაზავა

დაცხიკვება ანუ „სოცოცხლე! ხეირი!“

თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში არსებობს ისეთი ჩვეულება, რომლის ახსნას არავინ ცდილობს: ეს გახლავთ დაცხიკვებაზე შემსწრეთა რეაქცია!

ადრე თვლიდნენ, რომ სული გამოდის ადამიანის ორგანიზმიდან, ან შთაებერება მას. ზულუსები ცხვირის დაცემინებისას, ე. ი. დაცხიკვებისას, მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ გარდაცვლილ ადამიანთა სული ეწვიათ მათ და ან სიკეთეს აქნევინებენ, ან ბოროტებას.

ცხვირის დაცემინება შეახსენებს ადამიანებს, რომ დაუყოვნებლივ ახსენონ იტონგოს (წინაპართა სულის) სახელი. სწორედ ეს იტონგო უჩხიკინებს კაცს ცხვირში, მან უნდა იგრძნოს, რომ იტონგო მასთანაა. თუ კაცი ავადაა და ცხვირს არ აცემინებს, მნახველები მის პატრონს ეკითხებიან — დააცემინა ცხვირი თუ არაო, ხოლო როცა გაიგებენ, რომ არ დაუცხიკვებია, სიბრალულის ნიშნად თავებს აკანტურებენ — „მძიმე სენი აქვს შეყრილი და ჩქარა გუდა - ნაბადს აიკრავსო“... ზულუსები ერთთავად ცხვირისცემინებაში არიან, რაც იმის ნიშანია, რომ სულები არიან მათთან. ისინი დიდ ქებას ასხამენ სულებს და „მაკოზის“ (ბატონებს) უწოდებენ.

ცხვირის დაცემინების ექო ძველი დროიდან მოედინება. საბერძნეთსა და რომში კარგადაა ცნობილი ტელემაქეს ბედნიერი ცხვირის დაცემინება; ერთი ჯარისკაცის ცხვირის დაცემინებამ მთელს არმიას გადაუარა და მას მოყოლილი ღვთის სადიდებელი ყიჟინა ქსენოფონტემ ბედნიერ წინასწარმეტყველებად მიინიშნა. არისტოტელემ ისიც აღნიშნა, რომ ხალხი ცხვირის დაცემინებას ღვთიურ მოვლენად მიიჩნევდა. ცნობილია ბერძნული ეპიგრამა გრძელცხვირა კაცზე, რომელიც დაცხიკვებისას დროზე ვერ წამოიძახებდა ხოლმე — „ზევსო, შენ მიხსენო!“, იმიტომ რომ ცხვირის დაცემინების ხმა ძალიან გვიან აღწევდა მის ყურამდე.

მსგავსი ადათ-წესები ცხვირის დაცემინების დროს აზიის და ევროპის მრავალ ქვეყანაში არსებობს. ინდოელს შესძახებენ — „იცოცხლე!“ ხოლო იგი მიუგებს — „თქვენთან ერთად!“ ებრაელს ეტყვიან — „ტობიმ ხაიმ!“ — „კარგი ცხოვრებაო“. მუსულმანები ცხვირის დაცემინებაზე მაშინვე წამოიძახებენ — „დიდება ალაჰს!“ აი, როგორ უყურებდნენ ცხვირის დაცემინებას შუა საუკუნეების გერმანიაში: „კერპთაყვანისმცემლებმა არ უნდა გაბედონ ცხვირის დაცემინება, იმიტომ, რომ მას უნდა უსურვო — „ღმერთმა გიშველოსო!“, ამას მხოლოდ ჩვენ ვამბობთ, გერმანელები, ცხვირის დაცემინებაზე. ეს მთელი კანონი იყო. წარმოიდგინეთ იმ კერპთაყვანისმცემლის მდგომარეობა, რომელსაც გერმანელთა შორის ცხვირში შეეღიტინებოდა დასაცხიკვებლად! ინგლისში ამბობენ: იმ კაცს, ვინც დააცემინა, თუ მაშინვე ჯანმრთელობა არ უსურვეთ, ეს ძალიან ცუდი იქნება მისთვის. ფრანგულ „თავაზიანობის წესებში“, რომელიც საფრანგეთში 1685 წელს გამოიცა, იკითხება: „თუ მისმა კეთილშობილებამ დააცემინა, თქვენ მთელი ხმით არ უნდა შესძახოთ — ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ბატონო! მაგრამ ქუდი უნდა მოიხადოთ, უხმოდ თავი უნდა დაუკრათ მას და ეს თქვენთვის უნდა ჩაილაპარაკოთ“.

ასეთი სურვილები და შეძახილები ცხვირის დაცემინების დროს ჯერ კიდევ არსებობს თანამედროვე ევროპაში. სრულიადაც არ ჩანს უცნაურად ის, რომ ასეთი უაზრო ჩვეულება მთელი საუკუნეების მანძილზე გრძელდება. ეს მხოლოდ ცნობისმოყვარე მკვლევართათვის რჩებოდა გამოცანად!

— აფჩხი!

— ხეირი!

ზურღან გემაზაშვილი

ნიანგის სტუმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი სტუმარია უკრაინის მოქალაქე ქ. ხარკოვიდან, მხატვარი ვ. ვ. კაპრელიანცი. ვბეჭდავთ მის მიერ გამოგზავნილ ნახატ-კარიკატურებს თარგმანის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილისჭეშმარიტებანი

სიმართლე ხუმრობით

თუ ვისმე წვეულება აქვს
მისდიხარ, არა გვიანობ,
დაპატიჟება რად გინდა,
სირცხვილი რასა ჰქვიანო?
მარჯვენით ვერვის წაადექ,
პირველ უქნარად გთვლიანო,
ვაი, ეგეთა კაცობას,
თუ მას კაცობა ჰქვიანო.

* * *

დაუფიქრებლად ყვირიხარ,
რაც მოგადგება პირზედა,
ისაც ხომ ეგეთი არის,
მეტი რითა ხარ ვირზედა?

* * *

ღრინავ და არავის ინდობ,
მუდამ შარი გაქვს საგზლადა,
კაცი ხარ, მაგრამ გიცნობენ
გადაკეთებულს ძაღლადა.

ვალიკო ხუცურაული
დუშეთის რაიონი,
სოფელი ხორხი

თქვენ გენაცვალოს თამადა! აი, ასე უნდა შეისვას აფხაზეთის სადღეგრძელო, სამშობლოსათვის თავდადებაც ამას ჰქვია!

ნახ. ლ. ფარეიშვილისა

რასაც ვამბობ, სწორია!

არავინ არ გაიკვირვოს, რასაც ვამბობ სწორია:
— ახლა ჩვენი ცხოვრება მინუს ერთის ტოლია.

* * *

გლეხს წავართვით თოხი და ფიწალი და სახნისი,
დავაყენეთ ბაზარში ნაღდი დიასახლისი.

* * *

საზღვარგარეთ გავზიდეთ ოქრო, ვერცხლი, სპილენძი,
მათ სანაცვლოდ ოპიუმს, მორფს და ჰაშიშს ვიძენდით.

* * *

შევაძულეთ ჩვენს ბალღებს გაზეთი და წიგნები,
სადღაც ბორიალობენ მათი წრფელი ფიქრები...

* * *

ტყე და ზვარი ორივე ერთად აგვიკაფია,
ყველაფერი დავუთმეთ ფირმასა და მაფიას.

* * *

ხომ არ გიკვირთ? რაცა ვთქვი, ყველაფერი სწორია,
ეს ცხოვრება, ნამდვილად, მინუს ერთის ტოლია!

პოეტი და პოლიტიკა

პოლიტიკა საერთოდ არის მიეთ-მოეთი,
ადრე ვთქვი და იმავეს ვიმეორებ ყოველთვის:
— პოლიტიკა არ არის საქმე ნაღდი პოეტის!

თუ ეფერე პარლამენტს, სპიკერსა და პრეზიდენტს?!
მაშინ ტვირთი პოეტის სუსტი მხრებით ვერ ზიდე!
მაშინ ცდები, კვლავაც ცდები, ცდები ასჯერ ზედიზედ!

გიორგი მეტრეველი

ჭილისჭეშმარიტებანი

Ეროვნული
ბიბლიოთეკა
Ეროვნული
ბიბლიოთეკა
Ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკითხველი ხუმრობს

ჩემო ძვირფასო „ნიანგო“

თითქმის ხელი მქონდა ჩაქნეული, დავკარგეთ-მეთქი „ნიანგი“, მაგრამ ამას წინათ თბილისში ჩამოსულს კიდევ რომ შემომხვდა, სიხარულის ელდა მეცა, თითქოს შენთან ერთად მთელი ეპოქა დამიბრუნდა. ნაგვიანევად გილოცავ 75-ე წლისთავს, რაა 75 წელი უკვდავებისათვის? — არაფერი! პირფერობაში კი ნუ ჩამომართმევ! უკვდავი ხარ აბა, რა?.. შუქ-ჩრდილებს რა გამოლევს და სატირაცა და შენი სალი, ცინცხალი იუმორიც მუდამ საჭიროა. გული მწყდებოდა — რაღა აღარ იბეჭდება და „ნიანგი“, ალბათ, სადღაც სიმწრით იგუდება-მეთქი, მაგრამ როგორც ეტყობა, სამართალმა მაინც უნდა ჭამოს პური.

იცოცხლე დიდხანს, დიდხანს!

პატივისცემით შენი
რომან ზუკაკიშვილი
საგარეჯოს რ-ნი სოფ. პატარძეული

- ზარმაცი მთიბავის ნამგალი, ადვილი გამოსაცნობია.
- ზოგჯერ ძაღლი პატრონზე კეთილია.
- რაც ცხენი ხმარებიდან გამოვიდა, ვირის ფასმა აიწია.

ზურა ქორჩორაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟას მოსახელეთ

სახელს არც აგწევს, არც დაგწევს, ვაჟაი ხარ თუ ჯემალი,
ყურძენს სიტკბოს ვერ წავართმევთ
თუგინდ დავარქვათ ტყემალი.
ავტორი

ქართლ-კახეთში, იმერეთში დღეს რომ ვაჟა მრავალია
პოეზიას თუ ვერ ქმნიან, დიდ ვაჟასი რა ბრალია?
აქეთ ვაჟა, იქეთ ვაჟა, სახელი ხომ ყველას ყოფნის,
მაგრამ მკვდარი დიდი ვაჟა ათას ცოცხალ ვაჟას ჯობნის.
ვინატრებდი ასეთ რამეს, ღმერთმა ქნას და ამიცხადოს:
დიდ ვაჟაზე გენიოსი თუნდაც გივი დაგვებადოს.
ვაჟა სახელს არ ეძებდა, იმ დროს იგი ერთი იყო,
მიწიერი, ხორციელი, პოეზიის ღმერთი იყო.

შალვა ჭოლიკაური



ნახ. ა. ერაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ზ. ლეშავასი
თემა მ. მერკვილიშვილისა

— ბატონო
მოსამართლევ,
ბოდიშს
ვიხდი,
თქვენს
სამოსს ჯიბე
არა აქვს და
იძულებული ვარ
ხელში მოგცეთ!

ნახ. ვ. კუციასი

საქართველოს

ფული ანუ ხელის ...

დაბადებიდან სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, რომ ფული ხელის ჭუჭყია, სულის სიბინძურე, გულის მანკი, რომ ვისაც ფული აქვს, უძილობა სჭირს, რომ უფულო კაცი იძინებს მშვიდად და ფერად-ფერად სიზმრებს ხედავს.

საბავშვო ბაღში მარიგებდნენ, ქუჩაში ფული რომ ეგდოს, იცოდე არ აიღო, რადგან დიდი ბუა იყურება ზემოდან და როგორც კი სხვის დაკარგულ ფულს დაწვდები, მაშინვე დაგაცხრება თავზე, კლანჭებს ჩაგასობს, აგიტაცებს და ცხრა მთას იქით გაგაქროლებსო.

სკოლაში მასწავლიდნენ სიბრძნეს, რომ ქონება მგზავრია: მოვიდა, წავიდაო, რომ შენი სიმდიდრე ქვეყნისადმი თავდადებული შრომა და დიდი სამშობლოს სამსახურიაო (პატარა სამშობლოს ხსენებაც კი აკრძალული გვქონდა).

ინსტიტუტში პირდაპირ ტვინში ჩამიდეს ერთი ნაცარქექია ფშაველის სიმთვრალეში ნათქვამი: სიმდიდრეს ერთი ფშაური შამღერება მირჩევნიაო.

დავიწყე სამსახური და ყოველდღე იმას მიკიჟინებდნენ, გამდიდრებულ ადამიანს იმდენი მტერი ჰყავს, რამდენი მანეთიც უდევს ჯიბეშიო.

მეც რაღა დამრჩენოდა, ამ „სიბრძნეს“ რომ არ გავყოლოდი, ასე ჩამოყალიბდა ჩემგან უფულო დეგენერატი. მე, ნაპიონერალ, ნაკომკავშირელ იდიოტს ფულის შოვნა ისეთ ცოდვად მიმაჩნდა, რომ ჯოჯოხეთში მოვხვდებოდი და ღმერთი ასანთის გაკვრის უფლებას არ მომცემდა ჩემთვის განკუთვნილი ადგილის გასანათებლად.

თურმე ღმერთსაც არ ეხატება გულზე გატილიანებულ-გარწყილიანებული ადამიანი. ამას დღეს, სიბერეში, ვგრძნობ ყველაზე მეტად, ცარიელი მუთაქა რომ მიდევს თავქვეშ და სიღარიბე ისე შემომეჩვია, როგორც დამწყები მწეველი, წამდაუწუმ რომ მთხოვს შეკონწიწებული თეთრებით ნაყიდ სიგარეტს.

არადა, სულ ფულის გასაკეთებელ ადგილებზე მიხდებოდა სამსახური. ერთმა, მაშინდელი ჩემი გაგებით, ყოვლად უნამუსო და ქვეყნის დამანგრეველ-დამაქცევარმა ადამიანმა, ისიც კი შემკადრა: რა ტყუილად აცდენ ადგილს, შენზეა ნათქვამი, ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო.

რა ვიცოდი, რომ საქართველოშიც დადგებოდა ისეთი დრო, როცა პროლეტარები ყველა ქვეყნისა კი არ შეერთდებოდნენ და მდიდრებს არ ეცემოდნენ ყელში, არამედ თვითონაც ისწავლიდნენ ფულის კეთებას და „გამოპროლეტარდებოდნენ“.

ეჰ, ჩემი დრო უკვე წასულია, აწი მე ფულს თუ დავხარჯავ, თორემ ველარ ვიშოვნი. ბიუჯეტზე ჩამოკონწიალებული მუშაკი გახლავართ, ბიუჯეტი ქვეყნის შემოსავლის მონაა. ეს შემოსავალი კი ისეთი კუს ნაბიჯით მიდის წინ, ფეხს რომ გამოჰყოფს და დაიძახებს, მეც ნახირ-ნახირაო.

სწორედ იმ ნახირის ერთი რქოსანი შემადგენელი ნაწილი ვარ, დღეს ფეხებზე რომ ჰკიდია ყველას და სწორედ იმიტომ, რომ ჩემი შთამომავლობაც ამ დღეში არ ჩავარდეს, ანდერძად ვუტოვებ შემდეგ შეგონებებს:

არც ხელის ჭუჭყი, არც რამე სუნი,
ამ ქვეყნად მხოლოდ ფულია მხსნელი...
იშოვნეთ ფული, არა აქვს სუნი...
ვინც გულმოდგინედ აგროვებს ვალებს,
„იდი ნა ხერო“ — ეტყვიან ხვალე.

გიგა მახვილაძე

დაუთმე დეიდას ადგილი!

ნახ. დ. ერისთავისა
თემა მ. მერკვილიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორ გაფუჭდა ხალხი, აგერ ერთმა რუსული ფული შემომაპარა!
— ნუ იკითხავ, თვალსა და ხელს შუა დახეული ლარიანი შემომატყუეს!

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა მ. მერკვილიშვილისა

რეპორტაჟი «საიქიოდან»

(ნამდვილი ამბავი)

დიახ, ნამყოფი ვარ!

ორმოცდაათიან წლებში გახლდით „საიქიოში!“

კაბინეტები!

არაჩვეულებრივი კერძები!

ნატურალური, კახური (დიახ, დიახ, იქაც კახური) ღვინო!

მუდამ მომღიმარე, თეთრხალათიანი ოფიციანტი! ნაღდი ეშმაკი! ისე მოგემსახურება, რომ თავი სამოთხეში გეგონოს!

აქ ალბათ უპრიანია იმ ანეკდოტის გახსენება, საბჭოთა პერიოდში რომ იშვა: საიქიოში რომ მოსკდა, ორი კარის წინაშე აღმოჩნდა მიცვალებული. „ჯოჯოხეთი“ — ეწერა ერთს! გამოაღო კარი და რას ხედავს: გაშლილ სუფრას უსხედან მოქეიფეები, მუხლებზე ულამაზესი გოგონები დაუსკუპებიათ, დიდრონი თასებით შეექცევიან სასმელს, მღერიან და დროს ატარებენ. მიხურა კარი მიცვალებულმა და ახლა ის კარი გამოაღო, რომელსაც „სამოთხე“ ეწერა! ხედავს: მწვანე კოინდარით მოფენილ ველზე, თეთრ მოსასხამიანი მიცვალებულები დასეირნობენ, ნაირფერ ყვავილებს კრეფენ, ერთმანეთს მიართმევენ და უღიმიან!

ელვის სისწრაფით მიხურა „სამოთხის“ კარი მიცვალებულმა და —ჯოჯოხეთში მირჩევნიაო!“ — იყვირა! ეცნენ ეშმაკები მიცვალებულს, აიტაცეს და ცეცხლზე შემდგარ კუპრით სავსე ქვაბში გადაუშვეს!

„აბა, ის ქეიფი რაღა იყოო?“ — ამოილუღლუღა ტკივილებისაგან გატანჯულმა მიცვალებულმა.

„ის, აგიტპუნქტი იყოო!“ — ხარხარით უპასუხეს ეშმაკებმა...

დღევანდელ საქართველოში „აგიტპუნქტი“ „რეკლამამ“ შეცვალა, მაგრამ ჩემს მიერ აღწერილი „საიქიო“, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნამდვილი ამბავია და მე იქ ნამყოფი გახლავართ!

იქაც ისმებოდა ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოები! იქაც ეფიცებოდნენ ერთმანეთს სიყვარულს და მერე ცხვირპირს უერთიანებდნენ! მერე ვის აღარ ნახავდი „საიქიოში“: მეცნიერებსა და სტუდენტებს, ხელოვნების მუშაკებსა და ხელოსნებს, სამართალდამცავი ორგანოებისა და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს, ბანოვანებსა და ბოზებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს! მამაჩემიც მინახავს საიქიოში, მაგრამ იმას ჩვენთვის არ ეცალა. იჯდა ცალკე, თავის ოთახში და საანგარიშოს აჩაკუნებდა! მამაჩემი „საიქიოს“ ბუღალტერი იყო. ჩემს მიერ აღწერილი სამყარო კი, ორმოცდაათიან წლებში საკმაოდ პოპულარული, ჩვეულებრივი „სასადილო“ გახლდათ, რომელიც ვაკის სასაფლაოს სიახლოვეს ფუნქციონირებდა და სწორედ ამიტომ შეარქვა ხალხმა „საიქიო!“

ვასო რცხილაძე



— ბატონო პროფესორო! უიმედო მდგომარეობაა, არც პატრონი ჩანს და არც ფული!

ნახ. ა. ერაძისა

ქელეხის შემოსავალ-გასავალი

უტყუარ სინამდვილეს გიყვებით!..

გარეკახეთის ერთ-ერთ რაიონში, უმეტესწილად, რაჭველებითა და იმერლებით რომაა დასახლებული, ოჯახის მარჩენალი, ჭარმაგი კაცი სიცოცხლეს გამოესალმა.

დატრიალდნენ ჭირისუფალნი: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ამოიტრიალეს ჯიბეები და... ქელეხისათვის საჭირო თანხა ვერ მოიძიეს.

რაღა ჩარა იყო, აფრინეს კაცი კერძო ბანკში, აიღეს ერთი კვირით პროცენტიანი ვალი იმ იმედით, რომ შემოწირული ფულით გადაიხდიდნენ.

უჩვეულო მზიანი დარი დაუდგა ცხონებულს და იქნებ ამიტომაც, გათვალისწინებულზე მეტი ხალხი მობრძანდა დაკრძალვის დღეს.

ღვინო შემოაკლდათ და არაყი ჩადგეს შიგადაშიგ.

ხაშლამის სუნი იდგა მხოლოდ — ხორცი სანახევროდაც არ გასწვდათ...

თხილების სიღრმეში, ბოძმონჯღრეულ ქვის მაგიდას ორი ახალგაზრდა უზის. უწყისებივით დაუხაზიათ რვეულები და იწერენ — ვინ რამდენი შეაწია ჭირისუფალს.

უმეტესად ათ-ათ ლარს აწევენ, აქა-იქ — ხუთს.

გამოერევა მავანი (უახლოესი ნათესავი), თხუთმეტსაც მიუთვლის!..

დაფაცურდებიან გახარებული ბიჭები, ჭიქა ღვინოზე იქვე შეიპატიჟებენ, ჩვენც ყელი გვიშრებაო!..

მეცამეტე ნომრად (იღბალი არ გინდა!) სამოციოდე წლის რეზინის ჩექმებიანი კაცი ჩაეწერა, თქვა გვარ-სახელი და ყრუდ ჩაიბუტბუტა:ათი ლარი, ნისიად!..

თითქოს გატეხას ელოდნენო, იმატა და იმატა ნისიებმა!.. „ხუთი ლარი“, „შვიდი ლარი, ნისიად“.

მოთავდა ქელეხი, იანგარიშეს შეგროვილი თანხა და გაოგნებული დარჩნენ: დანახარჯმა რვაას ლარს მიაღწია, შემოსავალმა — სამასს!

რაღა თქმა უნდა, ვერ გადაიხადა ჭირისუფალმა კვირის თავზე პროცენტიანი ვალი!..

საცაა, „ორმოციც“ მოუწევს და ელეთ-მელეთი მოსდით — როგორ, საიდან, რით!..

ამასობაში, ერთ-ერთ ნისიად ჩაწერილსაც მოუკვდა მოხუცი დედა.

ისინიც ნასესხები ფულით იხდიან ქელეხს.

სხვებთან ერთად, იმ ოჯახის მარჩენალის ჭირისუფალიც მივიდა მთელი ჯალაბით დაკრძალვაზე.

მიუახლოვდა „საგადასახადო მაგიდას“, ამანაც ჩააწერინა გვარი, სახელი, მამის სახელი და რიხიანად თქვა: ჩაწერეთ ჩემგან ოცი ლარი!..

ლამის ფეხზე წამოიჭრნენ ბიჭები...

ბოლოს ხმამაღლა დაუმატა: ნისიად!..

დრო იყო, მართლაც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — ვინ მეტს შეაწევდა ჭირისუფალს...

დრო დადგა, მალე შეეჯიბრებიან ერთმანეთს — ვინ მეტს შეაწევს... ნისიად!..

რაც მთავარია, ეს პროცესი — სიკვდილიანობაც და ნისიად შესაწევარიც — თანდათან სტაბილური ხდება, რაიც, თავისთავად, რაღა თქმა უნდა, ლარის კურსის სტაბილურობაზეც მეტყველებს!..

გიზო ზარნაძე

„ნიანგი“ ახმეტის რაიონის სატყეო მეურნეობას ესტუმრა და ერთი კითხვა დაუსვა:

ხე-ტყის უკანონო მჭრელები გამოვლენილი გყავთ თუ არა?

პატივცემულო „ნიანგო“ — ბრაკონიერები ჩვენს მიერ გამოვლენილია, წარმოგიდგენთ სიას:

ფიცხელაური ზეზვა	-	გაზ-66
ჯიჯიაშვილი გოგიტა	-	ზილ-131
გელდიაშვილი ზურაბი	-	გაზ-66
არეშიძე დათო	-	გაზ-66
დავითაშვილი მიშა	-	ზილ-131
მეგალიშვილი გოჩა	-	გაზ-66
გოგოჭური გოდერძი	-	გაზ-66
ქარუმიშვილი გია	-	გაზ-63
ქისტაშვილი ნიკო	-	ზილ-157
გოგნიაშვილი ლადო	-	ზილ-131
გაგუნაშვილი ამირანი	-	გაზ-66
ყეინიშვილი ცეზარი	-	ზილ-131
თურქიაშვილი ზურაბი	-	ურალი
ჯიჯიაშვილი ოსიკო	-	ზილ-157
შათირიშვილი პაატა	-	ზილ-131
ფეტვიაშვილი გივი	-	გაზ-66
ოქროცვარიძე ვასიკო	-	ტრაქტორი „ბელორუსი“

ბოლოს კიდევ ერთი კითხვა გაგვიჩნდა: განა გამოვლენა საკმარისია ამ უკანონობის აღმოსაფხვრელად?

ალ. იმერლიშვილი
„ნიანგის“ კორესპონდენტი

ნახ. მ. აბაშიისა

«ნიანგი» მადლობას უხდის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალის ტირაჟის გავრცელებაში გაწეული თანადგომისათვის საქართველოს რაიონების ადმინისტრაციის მესვეურებს და საქმიან ადამიანებს:

თბილისში

ავთანდილ თათეშვილს, გიორგი ტალახაძეს, ოთარ ქარქუსაშვილს.

შიდა ქართლში

გოგი ჩხიკვაძეს, ივანე თეთრუაშვილს, დიმიტრი დავითიშვილს, თემურ ბლუაშვილს, ჯუმბერ ქობლიანიძეს, გივი ცალქალამანიძეს, რომან გვიშიანს, ოლეგ ლომიძეს, თემურ ლომიძეს, ოთარ ჭიღლაძეს.

კახეთში

თელავის რაიონის პოლიციის უფროსს **ლევან მწყერაძეს** და საგზაო პოლიციის უფროსს **ზაზა აბაშიძეს.**

ჟურნალი „ნიანგი“, №4 (1899)
ნოემბერი, 1998 წ.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან

მთავარი რედაქტორი ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახტანგ დოხნაძე (ტექნიკური რედაქტორი), რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). რევაზ მიშველაძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ლერი ჩანტლაძე (ლიტერატურული რედაქტორი), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.10.98; ფორმატი 60X84 1/8; სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 2; შეკვ. № 1488; ტირაჟი 5000; გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ; რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ; რეგისტრაციის №4/4—1263.

რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი — 8; რუსთაველის პროსპექტი №42.
ტელეფონები: 93-19-42, 99-55-54, 93-49-32.

ინდექსი 76137 ფასი 60 თეთრი



— გაიგე ძამა?! თურქეთ-საქართველოს ბიზნეს-მეცნიერების ახალი გამოგონება ყოფილა: აგი მოჭრილი ხე-ტყე კარგად ხარობს თურმე თურქეთში, ხოლო ამის მომჭრელი კი საქართველოში!

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა შ. სიხარულიძისა